საქართველოს კანონი

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 08.06.2012, სარეგისტრაციო კოდი: 470070000.05.001.016760) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. №1 დანართით გათვალისწინებული I სიის ცხრილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 183-ე და 184-ე გრაფები:

183	ჯვ^3-081 * JWH-081	4-methoxynaphthalen- 1-yl- (1-pentylindol- 3-yl)methanone
184	ჯვ^3-122 * JWH-122	4- methyl- 1- naphthalenyl)(1- pentyl- 1H- indol- 3- yl)- methanone

2. №2 დანართის:

ა) ცხრილით გათვალისწინებულ ჩამონათვალს „ნარკოტიკული საშუალებები“ დაემატოს შემდეგი შინაარსის 201-ე, 202-ე და 203-ე გრაფები:

201	ჯვ^3-250 * JWH-250	0,05	0,5	5
202	ჯვ^3-081 * JWH-081	0,05	0,5	5
203	ჯვ^3-122 * JWH-122	0,05	0,5	5

ბ) შენიშვნების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების I სიაში შეტანილი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების ოდენობები განსაზღვრული არ არის, გარდა ჯვ^3 (JWH)-018-ისა, ჯვ^3 (JWH)-398-ისა, ჯვ^3 (JWH)-073-ისა, ჯვ^3 (JWH)-200-ისა, ჯვ^3 (JWH)-250-ისა, ჯვ^3 (JWH)-122-ისა, ჯვ^3 (JWH)-081-ისა, ჰუ (HU)-210-ისა, ცპ (CP)-47, 497-ისა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

25 დეკემბერი 2013 წ.

N1866-რს